მაღლობის ღირსია „ცისკრის" განყოფილების გამგე, ჩვენი ნაჭედრი მწერალი მიხო მოსულიშვილი, რომელსაც ნაყოფიერებით გამორჩეული ბორის აკუნინისათვის (იგი წარმოშობით ქართველია – გრიგორ ჩხარგიშვილი) ინგერვიუ ჩამოუთმევია და აქეე აქვეყნებს მისი ერთ-ერთი რომანის („ამაგელი") რამდენიმე თავს. გრიგორ ჩხარგიშვილი იაპონური ლიგერგურის საუკეთესო მცოდნე და მთარგმნელია, მაგრამ ბოლო წლებში წიგნის ბაზარზე, აკუნინის გვარით, ხშირად გვხვდება მისი მბაფრსუეუგიანი რომანები, „ცისკარში" დაბეჭდილი თავებიდანაც იგრძნობა, რომ „ოსგაგიის და მარგარიგას" ავგორი, მიხეილ ბულგაკოვი, აკუნინს საყვარელი მწერალია და ხშირად მიმართავს ბულგაკოვისეულ მისგიფიკაციებს. რომანში მეცხრამეგე საუკუნის რუსეთის ცხოვრება და ადამიანებია დახგაული. მთარგმნელი თავის ნამრომს მახვილგონიერულად უძღვნის დიდ წინაპარს, ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც სწორედ მეცხრამეგე საუკუნეში ალექსანდრ ბუგიეს რომანი „იმა" თარგმნა. მიხო მოსულიშვილი მიმართავს საინგერესო ექსპერიმენგს (გავიხსენოთ აკა მორჩილაძის „გადაფრენა მადათოვზე") – დღევანდელ სიგყვიერ ქსოვილში თამამად შემოაქეს ილიასდროინდელი ენობრივი ნორმები და ეს სგილიზება თუ პაროდია ნამდვილად ამართლებს.

განყოფილებაში „თვალსაბრისი" დაბეჭდილია თამარ სამსონიშვილის პრობლემური წერილი „ფიქრი „დედაენაზე", რომლის უმთავრესი პათოსი ის არის, რომ ერის ცხოვრებას მომავლისკენ, მის წინსვლას სახელმწიფოსთან ერთად, მართლმადიებლური რელიგია უნდა წარმართავდეს. ავგორს ბევრ რამეზე პასუხს, ალბათ, ჩვენი საპაგრიარქო გასცემს.

სიგყვისადმი გალკგინ გაბიძის თამამ დამოკიდებულებას ეხება შეინან სარიას მცირე წერილი „სიგყვის ნიუანსირება", სადაც საუბეით სწორად არის ნათქვამი: „შემოქმედი შეგნებულად უხვევეს ენასა და პოეგიკაში დამკვიდრებულ წესებს. მწერლის ენა ბევრად ცოცხალია, ვიდრე გრამგიკის არგახებში მოქცეული შეგყვეულება". შეინან სარიამ ამ კუთხით კვლავეც უნდა გააგრძელოს მუშაობა.

პროფესიული ოსგატობითა და აბროვნების კულგურით გამოირჩევა ეკა ცხადაძის რეცენზია „ლიგერგურა როგორც ბლაგრენა", რომელშიც შეფასებულია გურამ ბენაშვილის მრავალმხრივ საყურადღებო წიგნი „ლიგერგურული-კრიგიკული ეგიუდებისა".

ვიწრო სპეციალისგთა გარდა, მკითხველებსაც დააინგერესებთ ისგორიკოს ჯემალ სგეფხაძის წერილი „მნიშვნელოვანი ნამრომი ქართული ანბანის კვლევის საქმეში", ბორის ხურცილავას უკვე გახმაურებულ წიგნს რომ ეძღვნება.

„ცისკრის" წინამდებარე ნომრის ერთ-ერთი საუკეთესო მასალად უნდა ჩაითვალოს არგურ რემბოს პრობად დაწერილი ლექსი „გასხივოსნებანი", საუკეთესოდ თარგმნილი დალი ყალიჩავას მიერ (კომენგარებიც მანვე დაურთო). დადგენილია, რომ ეს ციკლი შეიქმნა რემბოს „ნათელხილვის პერიოდში" (1872-1875) და გენიალური პოეგის შემოქმედების მცოდნეთა ერთსულოვანი შეფასებით, ამ პერიოდში დაიწერა პოეგის ნამდვილად საუკეთესო ლექსები.



გულითადობა

მშობელი მიწის სიმსურვალე

თელავში საოცრად იგრძნობა პანკისის ხეობის სიახლოვე. მიგლინებით კვირაღღეს წასულს ამ რაიონის გამეთის „თელავის მოამბის" რედაქგორი მერი ბაგლიშვილი და მთელი რედაქგიის ადგილზე დამზვდა: პანკისის ხეობიდან ჩამოსული საკობაიანოს საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების შესახვედრად ემზადებოდნენ. სანამ პანკისის ხეობიდან ჩამოსულები თელავის სახელმწიფო უნივერსიგეგს ესგუმრებოდნენ, ჯერ თელავის უნივერსიგეგის პროფესორ-მასწავლებლები და სგუდენგები საურობდნენ საკობაიანოს საშუალო სკოლას. „თელავის მოამბის" კორნალისგი ნანა ჭუპაბაძე მიყვება:

– ჩვენში სგუმარ-მასპინძლობის გენი უფრო ძლიერია და მოგკერ ამ მიწებით მომძე ჩრდილში გერჩება ხოლმე. იქნებ სწორედ ეს იყო საბაბი იმისა, რომ აფხაზეთში ბევრი ქართველი გააფხაზდა და განგაშის ზარის დარასხება გვმართებს, რომ პანკისის ხეობაშიც არ გაჩნდეს მსგავსი უბედურება. ქისგობა, რაღა თქმა უნდა, საამაყო და საპაგიოა ქისგებისათვის და ჩვენს პაგივისცემასაც იმსახურებენ, ქართველი კი ქართველად უნდა დარჩეს.

პირველი, ვინც პანკისის ხეობაში ქართული მოსახლეობის ბედით სერიოზულად დაინგერესდა, მოქალაქეთა კავშირი და მისი ლიდერი – სახელმწიფო მინისგრი ავთანდილ ჯორბენაძე იყო. მისი თანადგომით გაბანდება ხეობის ქართული სოფლის საკობაიანოს საშუალო სკოლის შენობა, შეკეთდა სგადიონი. შემდეგ კი, უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიგეგის შემწეობით, შეივსო და გამდიდრდა სკოლის წიგნადი ფონდი, საკობაიანოს სკოლის კურსდამთავრებულები დედაუნივერსიგეგში ჩაირიცხნენ. ამ სკოლას საქმიანი კავშირები აქვს „კავკასიურ სახლთან", თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიასთან...

სკოლას ეწვივნენ საქართველოს ბავშვთა ფონდის (ხელმძღვანელი პოეგი ხუგა ბერულავა) წარმომადგენლები. ამ ფონდს თელავის რაიონში თელავის სახელმწიფო უნივერსიგეგს ესგუმრებოდნენ, ჯერ თელავის უნივერსიგეგის პროფესორ-მასწავლებლები და სგუდენგები საურობდნენ საკობაიანოს

გზა, რომელიც საიმედოდ არის დაცული

შაძტბა, რომ დღეს, სამწუხაროდ, პოლიციელებს, განსაკუთრებით კი საგზაო პოლიციელებს, არცთუ იშვიათად, კრიტიკის მძაფრ ქარცეცხლში აგბრებენ. საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილებაში მაღლიერი მოქალაქეების წერილმა მიგვიყვანა, რომელიც ჩვენს გადაცემაში შემოვიდა. მომმადებული მასალა საჭიროდ ჩავთვალეთ გაბეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით ფართო საზოგადოებისთვის გაგვეცნო...

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილება ემსახურება თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მონაკვეთს რიკოთის გვირაბიდან სამგრედიის სოფელ ჯაპანამდე. გასულ ოთხ თვეში ამ მონაკვეთზე რეგისტრირებულია 13 საგზაო საგრანსპორტო შემთხვევა. მათი შემცირების მიზნით, იმერეთის სამხარეო მს მთავარი სამმართველოსა და საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსების მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით სამოქმედო ტერიტორიაზე სისტემატურად გარდება ოპერაციულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის, ისე საგზაო-საგრანსპორტო შემთხვევების აღკვეთა-აცილების მიზნით. გამოვლენილია მოძრაობის წესების დამრღვევი 11469 მძღოლი. განყოფილების მუშაკთა ძალისხმევით, გასულ ოთხ თვეში ყველა სისხლის სამართლის დანაშაული გაიხსნა. აქამდე მათ მძიმე დვირთად აწევათ მხოლოდ ერთი გაუხსნელი საგზაო-საგრანსპორტო შემთხვევა, რომელიც თერჯოლის რაიონ სოფელ ნახშირღელეში მოხდა. დაუდგენელი ნომრისა და მარკის ავტომანქანა ფეხით მოსიარულე თბილისელ გია ჯანელიძეს დაეჯახა, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, მძღოლი კი მიიმალა. თავიდან პოლიციის არავითარი ვერსია არ გააჩნდა. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, ამოწმებდნენ ყველა საეჭვო ავტომანქანას. გაგარებული ამ და სხვა ღონისძიებების შედეგად დაადგინეს ავტომანქანა „ბმე“ სახელმწიფო ნომრით დტგ 289 და მისი მფლობელი. იმავე დღეს ამოღებული ავტომანქანა საგაგმძიებო სამსახურს ჩაბარდა. სოლო შემდეგ დაკავეს მძღოლი – მესგაფონის რაიონის სოფელ მორაკანში მცხოვრები გიორგი გოლუბიანი.

საგზაო პოლიციის მე-6 განყოფილების პოლიციელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის კუთხით რეგისტრირებული 11 დანაშაულიდან ყველა გახსნილია. გამოვლენილია ნარკომანიის რამდენიმე ფაქტი, რის შედეგად ამოღებულია გარკვეული რაოდენობის ნარკოტიკული საშუალება. დაკავებულია რამდენიმე ძებნილი, აყვანილია ყაჩაღთა სერიოზული ჯგუფები. დაკავებულია მანქანის გამგაცცებელთა რამდენიმე ორგანიზებული ჯგუფი. ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი. საგანგებო ლეგიონის სამსახურთან ერთად გამოვლენილია მრავალი დანაშაული. ყველა დანაშაულის გახსნაში აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული როგორც განყოფილების ხელმძღვანელს, ასე პირად შემდგენლობას. გზის მონაკვეთს მუშაობის გაუმჯობესებაში ხელს უმლის დაკეტილი დაფნარის, სამონეთის, ვაჭვევის საგუშაგოები, რის აღდგენასაც, რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ითხოვენ თავად მძღოლები, რადგან ასინი ამ საგუშაგოების იმედად იყვნენ, განსაკუთრებით – ღამით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ სოფელ ვაჭვევის გერიატორიაზე მომხდარი ერთი ინციდენტი, რომელიც რკინიგზის მაგისტრალზე მოხდა. გერიატორიაზე შემოსვლაზე მყოფ ოცმეთაურს ზურაბ ლაბაძეს ხმაური შემოესმა, გამოცდილმა პოლიციელმა იგრძნო რელსებზე დარტყმების ხმა, იგი მყისვე დაუკავშირდა საგზაო პოლიციის მე-6 განყოფილების უფროსს მამუკა ჭეიშვილს და გრანსპორგის დეპარტამენტის მესგაფონის განყოფილების უფროსს თორნიკე გურულს. მათ ერთობლივად დაიკავეს ორი მოქალაქე, რომლებიც რკინიგზის მაგისტრალს ბრძვებენ. საგელვეიმეო ინფორმაციამ საგზაო პოლიციის მე-6 განყოფილების თანამშრომლები არ ახსენეს, რამაც აღნიშნული სოფლის მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვია, რადგან პირველი სწორედ საგზაო პოლიციელები გამოეხმაურნენ ამ ფაქტს. ისინი მადლობას უხდიან საგზაო განყოფილების პოლიციელებს და მათ უფროსს მამუკა ჭეიშვილს, რომელთაც ხშირად გაუწევიათ მათთვის კონკრეტული დახმარება.

განყოფილება გამოცდილი მუშაკებითაა დაკომპლექტებული. ყველას ვერც ჩამოთვლი, თუმცა მოგვირთი მაინც უნდა გამოვარჩიოთ. ესენია განყოფილების უფროსის მოადგილე მამუკა კოპალიანი; აღმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი ავთანდილ აბულაძე, შგაბის უფროსი მაქრო დეკანოიძე, ძებნის ინსპექტორი ნოდარ მშვილდაძე, ოცმეთაურები – ზურაბ ლაბაძე, არჩილ კეკუა, მოთა ბუაძე...

ახლა ცოგა რამ მე-6 განყოფილების უფროსზე: მამუკა ჭეიშვილი წარმოშობით ლანჩხუთელია, დამთავრებული აქვს სოხუმის სახელმწიფო სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მსმენელია. იყო სპორტსმენი, სპორტის ოსტატია რაგბიში. აფხაზეთის ომში აქტიურად მონაწილეობდა, თუმცა ამაზე საუბარი არ უყვარს. როცა მივეძალეთ, მანაც მოკლედ გვითხრა: „ომი ომია. აქ არც სხვებზე მეტი გამიკეთებია და არც სხვებზე ნაკლები“.

სამაგიეროდ ფაქტები მოწმობენ მის წელილზე – უამრავი გახსნილი დანაშაული, საზოგადოების თანადგომა, და ყველაფერი ეს დროის ამ მცირე მონაკვეთში. ყველაფერი ეს შრომით და უძილო ღამეებით მოიპოვა.

დასასრულს ბანალურად, მაგრამ მაინც ასე უბრალოდ ვიტყვით – ღმერთმა გვიმრაველოს ასეთი პოლიციელები, ცხადია, ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნისათვის.

ნინო ბაბაშიძე,
ნატო ბერძენიშვილი,

ტელეკომპანია „ევრიკას“ გადაცემა „კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება“ ავტორები.

სურათზე: საგზაო პოლიციის მე-6 განყოფილების თანამშრომლები (შარცხნიდან პირველი – განყოფილების უფროსი მამუკა ჭეიშვილი).

ფეხბურთი

თასი – თბილისის «დინამოს»



26 მაისს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართული ფინალური მატჩი საქართველოს თასზე, რომელიც დაეთო ყოფაინის სახელობისაა, ითქდა, ბევრმა გულშემყურებელმა ნახა და შთაბეჭდილება შეიქმნა კიდეც. თუმცა, ზოგიერთი ნიუანსის შესწორება, ეფიქრობთ, მაინც საჭიროა.

ბოლნისის „სიონი“ თავისი არსებობის ისტორიაში არასდროს აღმეულებულა ასე მაღლა. გუნდი, რომელიც ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების და სპონსორთა, თავად ბოლნისელთა დიდი მხარდაჭერის მეღებად სეროზულ საფეხბურთო ძალად ჩამოყალიბდა, უკვე ევროპული ტურნირებისკენ იყურება და, იმ შემთხვევაში თუ თბილისის „დინამო“ წლეულს „დუბლს“ მოიპოვებს, სიონი, როგორც თასის ბრალეულს, სიონი, როგორც თასის გაგაბა – 1:3. სიტყვამ მოიგება და, აღვნიშნავთ, რომ დინამოელთა კარის დარაჯმა ირაკლი მოიძემ თავისებური რეკორდი დაამყარა – საქართველოს თასის ფინალში რვაჯერ ითამაშა. და კიდევ ერთი პიკანტური მომენტი: თუ ეროვნული ჩემპიონატის დარჩენილ ერთადერთ მაგჩში ბოლნისის „სიონი“ თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრას წააგებს, იგი გამოვა ევროპულ ტურნირში, როგორც საქართველოს თასის გათამაშების ფინალისტი, „დინამო“ კი გაჩემპიონდება და ევროპული ქვეყნების ჩემპიონთა ლიგაში ითასპარეზებს. გამოდის, რომ ბოლნისელები უქომაგებენ... თბილისელებს.

ბენდრო ბარძაძია.
ჯემალ კასრაძის ფოტო.

ალპინიზმი

დაბლა ამა-დაბლამია

6856 მეტრის სიმაღლის მწვერვალთა პიმალაიში ამა-დაბლამი. იგი ქართველ მთამსვლელებსაც დაულაშქრავთ, თუმცა 22 მაისს ჩვენთვის მაინც მოულოდნელი მოვლენა მოხდა – ამა-დაბლამი 22 წლის ქართველ ქალიშვილს – სოფიკო თვარაძეს დანებდა.

სოფიკო 2000 წლიდან სერიოზულად დაინტერესებულა ალპინიზმით. საქართველოს ჩემპიონია მეკლდეურობაში ახალგაზრდებს შორის, მოზრდილებშიც რამდენი ტურნირი მოუგია, წლეულს კი მყინვარწვერზე ასულა 35 გრადუს ყინვაში.

ქართველი ქალიშვილი გამოცდილ მთამსვლელებთან – ბენო ქაშაკაშვილთან, ავი გიგანთან და გელა ოთარაშვილთან ერთად, როგორც მემთო აღვნიშნეთ, ამა-დაბლამზე ავიდა. ახლა სოფიკო თვარაძე ნეპალში, კატმანდუშია და ევერესტზე პირველად ასვლის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს აღსანიშნავ ფიციმში მონაწილეობს.

ცხენოსნობა

უმაჯობილა ფაზისმა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს მიეძღვნა ცხენოსანთა პირველობა, რომელსაც 23-25 მაისს ფაზის-ქალაქში უმასპინძლა. შეჯიბრებაში (მთავარი მსაჯი – ფოთის იპოლრომის დირექტორი **ვალერიან მაქაცარია**) მონაწილეობდნენ ფოთის საცხენოსნო სპორტსკოლის, შინაგანი ჯარების ცხენოსანთა ესკადრონის (თბილისი), განათლების სამინისტროს ოთარ ქინქლაძის სახელობის სპორტსკოლის მხედრები, კერძო მფლობელები, აგრეთვე, ბათუმელი ახალგაზრდა ცხენოსნები, რომლებმაც ახლახან ჩამოაყალიბეს სპორგის ეს სახეობა (მწვრთნელი – **მერაბ სადრაძე**) და უკვე რამდენჯერმე გამოსცადეს საკუთარი შესაძლებლობები. სამწუხაროდ, მათ ვერ მიბაძეს მუგდიდელებმა, სენაკელებმა, წალენჯიხელებმა, ჩოხატაურელებმა და სხვა ქალაქების და რაიონების წარმომადგენლებმა, რომლებსაც თითო მხედარიც არ მიაელინეს პირველობაზე.

ასპარეზობის დღეს გათამაშდა კონკური გახსნის პრიზზე ახალგაზრდა ცხენოსნებისთვის. ეს შეჯიბრება **როინ შელიამ** (კერძო მფლობელი) მოიგო. ძირითადი ცხენებით პაექრობაში პირველი იყო კახაბერ კიკიანი (შინაგანი ჯარები). როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი ასაკის ცხენებით დაბრკოლებათა გადალახვაში უძლიერესი გახლდათ ფოთელი **დენის ციგანკოვი**. ძალისმიერ ხტომებში (160 სმ) გოლი არ ჰყავდა **ირაკლი ნარმანიას**. 2000 მეგრზე დღეს ცხენოსანთა ორთაბრძოლები დაამშვენა ვეტერანთა პაექრობამ 2000 მეგრზე დღეში. ყველას აჯობა **ვალერიან მაქაცარიამ**, რომელსაც ახლახან 75 წელი შეუსრულდა.

საგულისხმოა, რომ შეჯიბრებებს ესწრებოდა და გამარჯვებულები დაჯილდოვა ქალაქ ფოთის მერმა **დავით ქანთარიამ**. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველობა მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული.

თამაზ ძიძავა.
სურათებზე: შეჯიბრების მოშენგი ვალერიან მაქაცარია.
ავტორის ფოტო.

ჟიდაობა

თითო „ოქრო“ და „ბრინჯაო“

ბელგრადში სამ დღეს გრძელდებოდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც კონტინენტის 34 სახელმწიფოს 160 მოჭიდავე გამოდიოდა.

მესანიმნავად იჭიდავა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის – ოთარ გაგიშვილის შეგირდმა 21 წლის თბილისელმა **რამაზ ნოზაძემ**. პირველ წრეში მან ქულებით მოუგო ისრაელში მცხოვრებ გენრი პაპაშვილს, მეორე წრეში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორს ბულგარელ ალი მოლოვს სძლია, მერე გზდებ ჩამოიცილა ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი მოსკოველი გოგი კოღუაშვილი, ფინალში რამაშმა გერმანელი მირკო ენგლისი დამარცხა და ევროპის 2003 წლის ჩემპიონობა მოიპოვა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბათუმელმა მუხრან ვახტანგაძემ (84 კგ) პირველ წრეში გოჩა ციციშვილს სძლია (ისრაელი), მერე ხორვატი კოსტა კოგანჯევი და თურქი ნაზმი ავლუჯა დამარცხა, ნახევარფინალში კი სომეხ ლევონ გეგამიანთან წააგო. ბრინჯაოს მეღლისათვის ბრძოლაში ქართველმა ფალავანმა ბელარუს ვალერი ცილენკს დააყრევინა ფარ-ხმალი.

შალვა ჩიხლაძე.

მინიფეხბურთი

„დიანა“ და „ნადიკვარი“ ჰოლანდიაში გამოვლენ

22-25 მაისს როტერდამში (ჰოლანდია) გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონაგის ფინალური ეგაპის კვლენდარული მაგჩები მინიფეხბურთში, რომლებშიც „ფოქოს-კიდის“ ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებული (13 წლამდე ასაკის) თითო გოგონათა და ჭაბუკთა გუნდი ითასპარეზებენ. საქართველოს რეგიონებში – კახეთში, გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლში, სამცხე-ჯავახეთში მოეწყო ტურნირები, გამარჯვებული კლუბები თბილისში ჩამოვიდნენ და ოლიმპიონი მოსკოველი გოგი კოღუაშვილი, ფინალში რამაშმა გერმანელი მირკო ენგლისი დამარცხა და ევროპის 2003 წლის ჩემპიონობა მოიპოვა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბათუმელმა მუხრან ვახტანგაძემ (84 კგ) პირველ წრეში გოჩა ციციშვილს სძლია (ისრაელი), მერე ხორვატი კოსტა კოგანჯევი და თურქი ნაზმი ავლუჯა დამარცხა, ნახევარფინალში კი სომეხ ლევონ გეგამიანთან წააგო. ბრინჯაოს მეღლისათვის ბრძოლაში ქართველმა ფალავანმა ბელარუს ვალერი ცილენკს დააყრევინა ფარ-ხმალი.

შალვა ჩიხლაძე.

პირი სისტემით შეკვაბრნენ ერთმანეთს პოლანდიის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებისთვის.

გოგონათა ტურნირის პირველ ნახევარფინალში მესგაფონის „აისსა“ დამაგებით დროში (1:0) სძლია ხოსის „მერცხალს“, ხოლო ბაშურის „დიანამ“ მშრალი ანგარიშით – 4:0 დაამარცხა ლანჩხუთის „გურია“. გოგონების ფინალური მაგჩი და მთელი „ფოქოს-კიდის“ გათამაშების დასკვნითი ეგაპი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოეწყო.

განსაკუთრებით დაბაბული გამოდგა მესგაფონის „აისისა“ და ბაშურის „დიანას“ ფინალური მაგჩი. პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა. მეორე ტაიმი მეგოქეებმა თითო-თითო ბურთი გაიგანეს – 1:1. გამარჯვებუ-

ლის გამოსაელენად დაინიშნა ორი 5-5-წუთიანი გაიმი. ერთ ტაიმგზე მსაჯმა საჯარიმო დარტყმა დანიშნა მესგაფონელთა კარისკენ, რომელიც ოსგატურად გამოიყენა ხაშურელთა კაპიგანმა თეა ციცქიშვილმა და „ოქროს გოლი“ გაიგანა – 2:1. ხაშურის „დიანამ“ (მწვრთნელი თემურ კობერიძე) ოქროს მედლები და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეგაპის საგზური მოიპოვა.

ჩინებულად ითამაშა თელავის „ნადიკვარის“ (მწვრთნელი ლევან ალადაშვილი) 13-ჭლიან ბავშვთა კლუბმა: ნახევარფინალში პენალგების სერიით – 6:5 მოგო ქუთაისის „მუხრანს“ და მთავარი პრიზისთვის თამაშის უფლება მოიპოვა. მეორე ნახევარფინალში მუგდიდის „ოდიში“ თბილისის „თბილისს“ დაუპირისპირდა. ძირითად და დამატებით დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. პენალგების სერიაში მუგდიდელმა მოსწავლეებმა გაიმარჯვეს – 5:4.

მთავარი პრიზისათვის თელავის „ნადიკვარის“ და მუგდიდის „ოდიშის“ უაღრესად დაბაბული მაგჩი თელაველმა ფეხბურთელებმა მოიგეს – 1:0.

შალვა ძორიძე.
სურათებზე: გამარჯვებული ხაშურის „დიანას“ გოგონათა და თელავის „ნადიკვარის“ კლუბები.
რობერტ ბაბუთიანის ფოტო.

კალათბურთი

„დინამომ“ წონასწორობა აღადგინა

უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს კალათბურთულ ეგაპა ეროვნული ჩემპიონაგის ფინალური სერიის ორი მაგჩი თბილისში „დინამოს“ და ბათუმის „ბასკოს“ შორის 1:1 დამთავრდა. სცენარი არც აჭარის დედაქალაქში შეცვლილა. გუშინწინ მღვდისპირელებმა დაბაბულ ბრძოლაში სძლიეს მეგოქეს – 81:80, გუშინ კი დინამოელებმა გაიმარჯვეს 87:79 და საერთო ანგარიშში წონასწორობა აღადგინეს – 2:2. გადამწყვეტ მეხუთე შეხვედრას 30 მაისს თბილისის სპორგის სასახლე უმასპინძლებს და ჩემპიონიც იქ გამოვლინდება.

ყოველი მხრიდან

„მშვიდობიან“ ბრძოლაში

ერთი შეხედვით, ძალზე მშვიდობიანად ჩაიარა ბოსნიის დედაქალაქში მიმდინარე 33-ე სჭადრაკო სუპერტურნირის მეშვიდე ტურმა. ყველა პარგია ყაიმით დამთავრდა. არადა, ერთმანეთს კი ხვდებოდნენ ბარევი-სოკოლოვი, კურაიცა რაჯაბოვი, მოვსესიანი – კოკული, დიდარეული – მიროვი, კასიმჯანოვი – დამლიანოვიჩი. მოგიერთისთვის ასე დამავება, შეიძლება, გამარჯვების გოლფასი იყო, მოგისთვის კი – პირიქით.

ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე ერთპიროვნულმა ლიდერმა ივან სოკოლოვმა (ჰოლანდია) ამ ყაიმით უფრო განიმტკიცა პოზიცია და უკვე ერთი ქულით (5,5) უსწრებს „მდევართა“ სამეულს.

თბილისი აღარ გამეორდება...

– ასე განაცხადა ფეხბურთში რუსეთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაბაევმა მას შემდეგ, რაც დასასრულს შეეცარიის ნაკრებთან 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მაგჩისათვის გუნდში გამოძახებულ ფეხბურთელთა გვარები. აი, ისინიც – მეკარეები ოვჩინიკოვი („ლოკომოტივი“) და მანდრიკინი (ცსკა), მცველები ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, ევსიკოვი (ყველა ცსკა), იგნაშევიჩი („ლოკომოტივი“), ონოპკო („რაიო ვალეკანო“), კოვტუნი („სპარტაკი“), ნახევარდაცვა: სმირნიხი („ბორდო“), გუსევი, იანკოვსკი, სოლომატინი (ყველა – ცსკა), ალდონინი („როტორი“), კარიაკა („კრილია სოვეტოკი“), ბისკეროვი („სატურნი“), სემშოვი („ტორპედო“), თავდამსხმელები: სიხოვი („მარსელი“), სემაკი, პოპოვი (ორივე – ცსკა), ბულეკინი („დინამო“).

შეიბყრეს სპორტის თაეკაცის ვაჟი

ბულგარეთის დედაქალაქის აეროპორგში დაბაპებიმრეს სამხრეთ კორეის ეროვნული ოლიმპიური კომიგეგის პრეზიდენგის ვაჟიშვილი კიმ იუნ საბი. როგორც სოფიის გაზეთი, „24 საათი“ იუწყება, 44 წლის კიმს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ეძებდა ინგერპოლი და მას აშშ-ში დაუსწრებლად მისჯილი ჰქონდა პაგიმრობა... 165 (!) წლით.

ბულგარეთის ხელისუფალნი ახლა აშშ-დან ელიან სათანადო საბუთებს, რის შემდეგ მოხდება პაგიმრის ექსგრადიცია.

შეგახსენებთ, რომ თავად კიმ იუნ სამი სამხრეთ კორეის გბეკვანდოს ფედერაციის თავკაცია.

პროფესიონალებისკენ გაუწიათ გულმა

6 მაისს სანკგ-პეგერბურგში გამართულ ფიგურულ მოციგურავეთა გურნირზე მოყვარულთა სტატუსით უკანასკნელად გამოვლენ ოლიმპიური ჩემპიონები ელენა ბერეჟნაია და ანგონ სიხარულიძე.

როგორც ჩანს, მათ მობეზრდათ სოლთ-ლეიქ-სიგის მამთრის ოლიმპიური თამაშების შემდეგ აგორებული ინგრიგები და სანკგ-პეგერბურგელთა წყვილს პროფესიონალებისკენ გაუწია გულმა.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

განცხადება

„საპარო“ სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს იუსგიციის სამინისგროს ქ. თბილისის სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის განყოფილების შემდეგ ვაკანგურ თანამდებობებზე:

1. სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის № 1 განყოფილების (ვაკე-საბურთალო) გამგის მოადგილე – 1 საშგაგო ერთეული;
2. სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის № 1 განყოფილების (ვაკე-საბურთალო) სპეციალისგი – 1 საშგაგო ერთეული;
3. სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის № 2 განყოფილების (დიდუბე-ჩუღურეთის) გამგის მოადგილე – 1 საშგაგო ერთეული;
4. სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის № 2 განყოფილების (დიდუბე-ჩუღურეთის) სპეციალისგი – 1 საშგაგო ერთეული;
5. სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის № 3 განყოფილების (ისანი-სამგორის) გამგე – 1 საშგაგო ერთეული;
6. სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის № 3 განყოფილების (ისანი-სამგორის) კონსულგანგი – 3 საშგაგო ერთეული;
7. სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის № 3 განყოფილების (ისანი-სამგორის) სპეციალისგი – 1 საშგაგო ერთეული;
8. სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის № 4 განყოფილების (გლდანი-ნაძალადევი) კონსულგანგი – 3 საშგაგო ერთეული;
9. სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის № 4 განყოფილების (გლდანი-ნაძალადევი) სპეციალისგი – 1 საშგაგო ერთეული;
10. სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის № 5 განყოფილების (კრწანისი-მგაწმინდა) გამგე – 1 საშგაგო ერთეული.

ქ. თბილისის სამოქალაქო აქგების რეგისგრაციის განყოფილების მოხელეთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 30-დან 60 ლარამდე.

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიგანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს. კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნა:

ბაკალავრის, მოაღგილის და კონსულგანგის თანამდებობებზე:

– უმაღლესი იურიდიული განათლება.

სპეციალისგის თანამდებობაზე:

– უმაღლესი განათლება.

კონკურსს აგარებს საქართველოს იუსგიციის სამინისგროს საკონკურსო-საატესგაციო კომისია.

კონკურსის მონაწილენი გაიელიან აგესგაციას.

საკონკურსო-საატესგაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოელენილი პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასგურებელი დოკუმენგების, სახელმწიფო სამსახურის გაელის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემთა საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს იუსგიციის სამინისგროს საკადრო საკითხთა დეპარგამენგში უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავგობიოგრაფია წერილობით განსცხადებასთან ერთად;
2. უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასგურებელი საბუთები;
3. უკეე გაცემული შრომის წიგნაკი;
4. ორი ფოგოსურათი 3X4;
5. პირადობის დამადასგურებელი მოწმობა.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განსცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განსცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ საქართველოს იუსგიციის სამინისგროში.

კონკურსის წარმაგებით გაელის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამაგებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“) საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესგაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: 380077, რუსთაველის გამზ., № 30, საქართველოს იუსგიციის სამინისგროს საკადრო საკითხთა დეპარგამენგი. გელ: 75-82-94.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.

ალბომი

ქეცლას რაიმე აქვს სახსოვარი



ალბერტ შვსტერნიოვი (საბჭოთა კავშირის უცხოურთელთა ნაკრების კაპიტანი) და ოთარ ჭითანავა. 1969 წელი, ქ. ბუდაპეშტი.

ფოტო მოგვაწოდა ოთარ ჭითანავამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

ძართული კულტურის ჰორიზონტები

გოდოს მოსკოვშიც ელიან

ოქტომბრის სივრცეში ჩეხოვის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი იმდენად დიდ ინტერესს იწვევს, რომ მოსკოვს თეატრალური მსოფლიოს დედაქალაქად მოიხსენიებენ და არცთუ უსაფუძვლოდ. ორ წელიწადში ერთხელ გამართულ ამ დღეთვალიერებაში თავს იყრიან ხოლმე მრავალი ქვეყნის სხვადასხვა თეატრალური ესთეტიკის, მრწამსისა თუ მიმართულების დასები. აქედან გამომდინარე როგორც პროფესიონალებს, ისე მოყვარულებს ფესტივალი წარმოდგენას აძლევს, თუ რა ხდება დღეს მსოფლიოს თეატრალურ ცხოვრებაში, რა ტენდენციები და საინტერესებია. ახლახანს, რიგით მეხუთე ფესტივალი გაიხსნა 18 მაისს და ორ თვეს გაგრძელდება.

ამ ხნის მანძილზე მონაწილეებს მოსკოვის საუკეთესო სცენები ეთმობათ, ამჯერად მოსკოვს 26 ქვეყნის ასამდე თეატრალურ კოლექტივი ეწვევა, ინტერესით მოელიან იაპონიის, ფინეთის, გერმანიის, საფრანგეთის, გაიანის, ბრაზილიის და სხვა დასებს.

წლეულს, უკვე მეოთხედ, ჩეხოვის ფესტივალის დამფუძნებლის თეატრალურ მოღვაწეთა საერთაშორისო კონფედერაციის (პრეზიდენტი კირილ ლავროვი) მიწევით დათვალიერებამ მონაწილეობს შთთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. **დგი 31 მაისს ერთი სპექტაკლით გაემგზავრება მოსკოვში და 3 და 4 ივნისს „მოსსოვეგის“ სცენაზე წარმოადგენს სომეულ ბეკეტის „გოდოს მოლოდინს“.**

თეატრალური მოსკოვი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა რობერტ სტურუას დადგმების მიმართ. მათ არც მისი ბოლო ნამუშევარი „გოდოს მოლოდინი“ გამორჩენიათ მხედველობიდან, თუმცა ბეკეტის სტურუსეულ გააზრებას მოსკოვი უკვე იცნობს დრამატურგის ერთ-ერთი ცნობილი მონოპიესის „კრეპის უკანასკნელი ფირის“ ხორცმესხმით თეატრ „ეტ სეტერაში“ ამავე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ალექსანდრე კალიაგინის მონაწილეობით, რითაც მისი იუბილეც, დაბადებიდან 60 წლისთავი აღინიშნა. ეს იყო მარშან. ამ მონოპიესამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუმცაღა ეს ნამუშევარი რუსეთის ერთ-ერთ პრესტიგიულ თეატრალურ პრემიაზე „ოქროს ნიღაბზე“ იყო წარდგენილი და აი სახელოვანი ქართველი რეჟისორი კვლავ წარსდგება მოსკოვში ახალი ნამუშევრით.

ფესტივალის დირექციისავე მიწევით ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების თეატრის მოღვაწეთა კავშირის 5-5-კაციან დელეგაციას მათივე დაფინანსებით სამუალება ეძლევა პროგრამიდან შერჩეულ მათთვის საინტერესო სპექტაკლებს დაესწრონ. ახეთ უფლებას, ცხადია, ქართველი თეატრმცოდნეებიც იყენებენ.

ვიდრე რუსთაველელები მოსკოვს გაემგზავრებიან, მანამდე აქ, გრიბოედოვის თეატრის სცენაზე, სადაც დიდი რემონტის გამო დროებით მართავდნენ წარმოდგენებს (პარალელურად – სამეფო უბნის თეატრშიც), სტურუას მიერ ადაპტირებული „კაცია ადამიანი“ დახურეს წლევანდელი მიმდინარე სეზონი.

რუსუდან მუსიძულაშვილი.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „გოდოს მოლოდინში“.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

შემთხვევა ცივგომბორის გზაზე

ფათერაკი გასამდა – თედო გადარჩა!..



უცნაური და ფათერაკიანი კაცია თედო ნიკოლაიშვილი – ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტი. ჯერ უცნაურობა ნახეთ: „მერსედესებითა“ და „ბეემვეებით“ გადაჭედილ თბილისში ათასჯერ გარემონტებული ველოსიპედით მგზავრობს, მიულინებებშიც კი ერთგულ ტრანსპორტს არ იცილებს, დაქრის თხელი, დაკუნთული მაგრამ, თუ მუშაი მოიქნია (ძველი სპორტსმენია, ძველი მესაბღვრე და კანოლოგი), მგრისას. თედოს ფათერაკებიც ველოსიპედს უკავშირდება.

წვრილად აღარ მოვყვები, მაგრამ ორჯერ რომ ძლივს გადარჩა, ეს ფაქტია:

მიიღო თედომ სარედაქციო დავალება, მიდი ერთი, გარემოვაჯრეები გადაიღეო. შორს წასვლა რად უნდოდა, მაგრამ მაინც ველოსიპედს მოახტა ჩვენი თედო, აგერ გარემოვაჯრებიც. დაეყრდნო ველოსიპედს და დაიწყო ბაბრობის გადაღება, ფოტოაპარატგანი კაცი რომ შენიშნეს, დაედევნენ ქალები, მოიმწყვდიეს შუაში, დაუწყეს ცემა... კინალამ აპარატი დაუმტვრიეს: აი, შე „რუსთავი-2“-ის მოგზავნილოო!

ეგყობა, ჩვენი თედო ქალებს მაინცადამაინც არ მოსდით თვალში. აბა, რა იყო ეს: ცირკის სახლოვეს უკანონო მშენებლობის გადაღება დაავალეს. ეს უბანი „სიძვის დიაცებისა“ ყოფილა და თედოს ცემა მაშინ გენახათ – თვალჩალურჯებული დაბრუნდა რედაქციაში.

ჰოდა, აი, მესამე ფათერაკი... საბედნიეროდ, გადაურჩა ამ ფათერაკს თედო და ახლა, დარწმუნებული ვართ, ას წელიწადს არაფერი მოუვა.

მოკლედ, გუშინწინ, 26 მაისს, გომბორში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე ბრძანდებოდა ჩვენი თედო. გადაიღო იქით დოღი, აქეთ გომბორელი ყმაწვილების ანსამბლი, კარგადაც ისადილა, მოახტა თავის „რაშს“ და გამოუყვა თბილისისკენ, თან გომბორის ცივანკარა პაერი უქიქინებს. უკვე ბნელა, ველოსიპედის შუქფარი აბა რას გაანათებს, მაგრამ თედომ მაინც შენიშნა ასე, ას მეგრში სამი ცხოველი. ჯერ ძაღლები ეგონა, მაგრამ თურმე მგლები დაძრწიან გზის სიახლოვეს. ვაი, შენს თედოს! რა უნდა ქნას? არადა, მგლები ავად აკეკესებენ თვალებს. მოკლედ, დასამალი რა არის, თედო რეგისტრირებული იარაღით ბრძანდებოდა დავალებაზე და ამან გადაარჩინა: ერთს ესროლა, ორიც ჰაერში გაისროლა, მგლები დაფრთხო და სიხლსამამთი დაგვიბრუნდა რედაქციაში.

რახან გასამდა, აწი, ყველა ფათერაკს გაუძლებს, ჩვენო თედო, და იქროლე შენი ველოსიპედით, სანამ მუხლი გერჩის.

ვილენ მარდალეიშვილი.

სურათებზე: მგლების გადარჩენილი თედო ნიკოლაიშვილი ველოსიპედით; გომბორში სახალხო მეიმზე გადაღებული ფოტოები.

ღიმილის დოზა

— ცოლმა მიღალატა!
— არ გადამრიო, როგორ?
— რა, გაჩვენო?

* * *

ბრწყინვალე ისეთი ზრდილობიანები არ დგანან რიგში, როგორც რიგში სტომატოლოგთან.

* * *

— უნდა გითხრა, გენაცვალე, რომ იშვიათი ქმარი მყავხარ.
— მე კი — ხშირი.

* * *

შეძლება ცხოვრების თანამგზავრ მამაკაცს. ვარ მძიმე ხასიათის, სამაგიეროდ — მსუბუქი ყოფაძცევის.

* * *

ძარგი ქმრის პოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია. მამაკაცები საზოგადოებრივი საპირფარეშოებივით არიან — ან დაკავებული, ან სიბინძურით საგსე, ან არ ფუნქციონირებენ.

* * *

მწიდველი ზოომალაზიაში რეკავს:
— მოლაპარაკე თუთიყუში გყავთ?
— არა, სამაგიეროდ გვყავს კოდალა, რომელმაც მორზეს ანბანი იცის.

* * *

ციგნობი: პაციენტს დაზიანებული აქვს თავის ტვინის ქერქი და მისი, ასე ვთქვათ, მერქანი.

თითქმის ნატურიდან

ვილაცას აგურის ჩარტყმით ემუქრებიან

ჟურნალისტს, რომელმაც სიმარში ნახა, რომ თავში აგური ჩაარგეს, პირობითად (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) ქოთილა დავარქვი. ნასიმრვეს, როგორც ხდება ხოლმე, ჯერ გულუბრყვილოდ გაეცინა, მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ ამ ბოლო დროს საცხოვრებელი ბინების სადარბაზოებთან ჟურნალისტებს ხშირად თავში უკაკუნებენ და დასცეცხლებ.

ამასთან დაკავშირებით, ის ამბავიც გაახსენდა, ანგიკურ ხანაში, ერთ ფილოსოფოსს რომ შეემთხვა. იმანაც თურმე სიმარში ნახა, რომ სვალ თავში რაღაც დაეცემოდა და თავდარეგი დაიჭირა: სახლიდან უთენია გაეიდა, შუა მინდორში დაჯდა და გული დაიაარსეინა, – ვნახოთ ერთი, აქ რა დამეცემაო. სად იყო და სად არა, ცაში ორბმა გადაიფრინა, კლანჭეებიდან ძვალი გაუვარდა, ფილოსოფოსს თავზე დაეცა და სული გააფრთხობინა.

ჟურნალისტი ამის გახსენებამ კიდევ უფრო დაბაფრა. ეჩვენება, რომ საფრთხე გარდაუვალი ხდება. მართალია, პირადად მას სიცოცხლეში ერთი კრიტიკული წერილიც არ დაუწერია (უფრო საქებარ სტატიებს აქვეყნებს), მაგრამ არამბადასა და მშაკვარს, რომელსაც ხელში აგური უჭირავს, ხომ არ ეტყვის, მოიცა, ჯერ არ ჩამარტყა, ჩემი კეთილმოსურნე წერილები უნდა წაგაკითხოო?!

რა ქნას, აღარ იცის. ქოთილა ახლა იმასაც ნანობს, თავის დროზე დეპუტატად არჩევის შანსი რომ გაუშვა ხელიდან. მართალია, პარლამენტი, ცემატყეპის მხრივ, სადარბაზოებს არ ჩამოუვარდება, მაგრამ იქ უკანიდან მიპარვით აგურის ჩარტყმის საშიშროება მაინც არ არსებობს. თუმცა ხმები გავრცელდა, მალე დეპუტატების პარლამენტში ცეცხლსასროლი იარაღის ნაცვლად აგურის შეგანის უფლებას მისცემენო!

ამის გამგონე ჟურნალისტმა დეპუტატობა საერთოდ გადაიფიქრა და სხვა ხერხს მიმართა: შეუღლეს თავი შეაბრალა – ხომ ხედავ, ჩვენზე როგორი ნადირობაა, თუ ჩემი გადარჩენა გინდა, სამსახურიდან დაბრუნებულს სადარბაზოსთან შემხვედი ხოლმე და უსაფრთხოდ ამომიყვანეო. ცოლი ქმრის ყარამანყანთელობაში კიდევ ერთხელ დარწმუნდა და მეთაებულ წინადადებას უსიტყვოდ დათანხმდა.

და მას შემდეგ, ყოველ საღამოს, ქოთილას ბინის სადარბაზოსთან არის ერთი ბებრხელ-ჩამოხეული და, – ლუღლუებს მიმისგან მოკუნტული ჟურნალისტი და აგროვებ ქვებს იქვე, სადარბაზოსთან ყრის.

– ეს ქვები სადღა იპოვე? – უკვირს მეულანოს.

– აქვე ეყარა და თავის დასაცავად ავიღე.

– მეხი კი დაგაყარე, მეგი ევრაფერი მოიფიქრე?

– მეგი რა უნდა მექნა?

– სჯობდა, ეგ ქვები აგეკრიფა და ქუჩაში გადაგეყარა.

– აბა, რას ამბობ, კიდევ რომ დამჭირდეს, სად გავიქცე?

– კარგი ერთი! შენ ნაწყენებულმა ქოთილამ პოლიციიდან უბნის რწმუნებული მოიყვანა და საქმის გარჩევა მოსთხოვა.

– სამწუხაროდ, ვერაფერში დაგეხმარებით, – გამოსცრა ცივად ქერა, სათვალიანმა პოლიციელმა, – გიეროს ამა და ამ რეგიონალური (თარიღი და ნომერი დაასახელა) თანახმად მეზობლებს უფლება აქვთ საკუთარი სადარბაზოების წინ მოფანტული ქვისა და აგურის ნატეხები პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ დაიგოვონ.

– დანამაულის საფრთხე რომ იქმნება? – აღშფოთდა ქოთილა.

– ამას, ჩემო ბატონო, იურიდიული მტკიცება სჭირდება. დღესდღეობით ქვა-აგურის ნატეხებში რაიმე დანამაულის ნიშნები არ იკვეთება და არც ჩამრტყმელი პიროვნება ჩანს.

– მაინც დამაინც უნდა ჩამარტყან?..

– ეგ უკვე სხვა საქმეა, – მოლბა პოლიციელი, – თუ ჩარტყმა რეალურად დაფიქსირდა (შესაძლებელია, თამუნა თაფლაძე, მურაბ სოსელია, მინდია გაჩერილაძე თანაუგრძნობენ ჯანი კავთიევსკის ოჯახს

ია გოძსაძე-კავთიევსკის

გარდაცვალების გამო.

დედა გენრიეტა, მეუღლე ლუარა გაბასონია, შვილები მაკა, გეგა, სიძე ლაშა ხუციშვილი, შვილიშვილები, ძმა გუჯა ელიაური, რძალი, ძმისწულები დათო და გიორგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აპაკი გრიგოლის ძე ელიაური.

პანაშვიდი 30 V, 4 სთ. გლდანის III მკ/რ-ნი, 77 კორპ. ბინა 22, 31 V, 4 სთ. გადასვენება 166-ე საშუალო სკოლაში (წერეთლის 42, დიდუბის პანთეონთან), გამოსვენება დიდუბის ეკლესიიდან 1 ივნისს, 3 სთ.

ს/ს ჰემატოლოგიისა და გრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ინსტიტუტის იმოსეროლოგიური ლაბორატორიის ექიმი-ლაბორანტი

ნათელა ნიკოლოზის ასული ჯაფახიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ცისანა, მზია, თემურ თოდუები, გურამ, ალექსანდრე, ხათუნა კარგომიები, თამუნა თაფლაძე, მურაბ სოსელია, მინდია გაჩერილაძე თანაუგრძნობენ ჯანი კავთიევსკის ოჯახს

ია გოძსაძე-კავთიევსკის

გარდაცვალების გამო.

შვილები ნუგზარი, თენგიზი, ძმა ავთანდილი, და ელენე, რძლები რუსუდან სისაური, შორენა პაიჭაძე, ცისანა ქიგიაშვილი, შვილიშვილები ნინო, ლეკა, მარიამი, თამარი, შვილთაშვილები ნუგზარი, ნოდარი, ივიკო, ანანკასია, რუსუდანი, სიძეები მიხეილ აბულაძე, არჩილ მოდებაძე, გიორგი ანდრიაძე, გიორგი თვალავაძე, ცოლისძმა გიორგი ჯინჭარაძე ოჯახით, ცოლისდები ქეთევან და პაშა ჯინჭარაძეები ოჯახებით, დისწული ირაკლი ფაღავა, ძმისწულები ნანა, მანანა, მიხეილი ოჯახებით, მძახლები ნიკოლომ სისაური და ვენერა პაიჭაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ხვთისო მიხეილის ძე მოშიაშვილი

პანაშვიდი 29, 30 V, 5 სთ. თბილისი, ბაბგრიონის 1 კორპ, მე-8 სადარბაზო. გამოსვენება 31 V, 3 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

საქართველოს საგრანსპორტო პროკურატურის თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ ბაგონ ნუგზარ შოშიაშვილს მამის

ხვთისო მოშიაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს საგრანსპორტო პროკურატურის თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ ბაგონ თენგიზ შოშიაშვილს მამის

ხვთისო მოშიაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს გენერალური პროკურატურა თანაუგრძნობს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის

ხვთისო მოშიაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნუგზარ გაბრიჩიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის

ხვთისო მოშიაშვილის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ და ქეთინო ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ თემურ და ანიკო კუჭუხიძეებს მამისა და მამამთილის

ვარლამ მელიტონის ძე კუჭუხიძის

გარდაცვალების გამო.

ზაურ და ნელი ფხალაძეები სამძიმარს უცხადებენ თემურ და ანიკო კუჭუხიძეებს მამისა და მამამთილის

ვარლამ მელიტონის ძე კუჭუხიძის

გარდაცვალების გამო.

ნუგზარ გაბრიჩიძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს თემურ და თენგიზ კუჭუხიძეებს მამის

ვარლამ კუჭუხიძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ლევანი, შვილები ნანა, შალვა (კოკა), შვილიშვილები ცირა, მარიამი, ვანო, ლევანი, შვილთაშვილი სალომე, ძმა გურამი, დები ქეთო, ვალიდა, მული ეთერ ცეცხლაძე, რძლები ხათუნა გაბუნია, ციალა ჭანკუაძე, სიძეები თემურ სპარაია, გოგი ყალიჩავა, მძახლები ოთარ სპარაია, თინა, ზურაბ გაბუნიები, ძმისწულები, დისწულები, მულისშვილები, უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნორა იოსების ასულ ბურჭულაძე-ცეცხლაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი პარასკევს, 30 V, 5 სთ. დაკრძალვა შაბათს, 31 V, 4 სთ. ომურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში.

თინა, ზურაბ, ირაკლი გაბუნიები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი, ღვაწლმოსილი ადამიანი, სათნო პიროვნება

ნორა იოსების ასული ბურჭულაძე-ცეცხლაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია თანაუგრძნობს კომისიის სპეციალისტს, ბაგონ თეიმურაზ კუჭუბიძეს დედის

მარგალიტა თაპაროშიძეს

გარდაცვალების გამო.

გამოფენა

სელოვნების ცენტრი საზღვრებს აფართოებს

თბილისში გაიხსნა საერთაშორისო გამოფენა – Appendix 2, რომელიც ორგანიზაციამ „მედია არგ ფარმის“ თაოსნობით მოეწყო. ეს ორგანიზაცია, ფაქტობრივად არის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თბილისში. ასეთი ცენტრები მთელ მსოფლიოში მოქმედებს. ჩვენთან ამ ორგანიზაციის მუშაობაში 20-მდე ადამიანია ჩართული. ქართველებთან ერთად არიან ის უცხოელებიც, რომლებიც აქ მუშაობენ. გამოფენები ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა და თემაური ხასიათისაა. პირველი გამოფენის თემა „თანამედროვე კავკასიური ფოტოგრაფია“ იყო და მხოლოდ სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო მონაწილეობდა.

წლეულს გამოფენის თემაა „გლობალიზაცია და ტერორიზმი“. მასშტაბიც გაფართოვდა, მასში მონაწილეობს 12-მდე ქვეყანა. ეს არის ევროპის, კავკასიის ქვეყნები და რუსეთი. ჩამოვიდნენ მხატვრები, მწერლები, ფილოსოფოსები და ა. შ.

„პროექტი Appendix 2“, ანუ „დიფუზია და მისი გოპოლოგია“, ეს არის გამოძახილი ღირებულებებისა და დამოკიდებულებების, პროდუქტებისა და იდეოლოგიის დიფუზიის მოვლენაზე, რაც ჩვეულებრივ „გლობალიზაციის“ ცნებით გაიაზრება. კავკასიაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ღღევანდელი მსოფლიოს „აპენდიქსის“ მოდელი, სადაც დაბაბულობა და განმუხტვა, აჯანყება და დანებება ამ პროცესების ნათელ დამახასიათებელ ნიშნებად გვევლინება. ჩვენ გვსურს შევქმნათ სივრცე, ამ მიზეზებისა და შედეგების არგისული კვლევისათვის“, – გვამცნობს გამოფენის პროგრამა.

ოცდაათამდე ხელოვანი, ამ საკითხისადმი თავისი დამოკიდებულების ამსახველი ნამუშევრები, საზოგადოებრიობას წარუდგინა თბილისის საგამოფენო დარბაზებსა და გარე სივრცეებში, რაც განთავსდა ქარვასლაში, აღ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში, 9 აპრილის სახელობის პარკში, გალერეა არგ-სინთეზში. ხოლო ყოფილ აბრეშუმის ფაბრიკაში პერფორმანსები ჩაგარდება. გოეთეს ინსგიტუტში პარუნ ფაროკის ლექცია მოისმინეს, რომელიც თანამედროვე ხელოვნების განვითარებას ეხებოდა. ლეილა ახუნზადემ გამოფენის მონაწილეებს და დამთვალიერებლებს წაუკითხა ლექცია „მოგზაურობა საგამოფენო სივრცეებში კაგრინ რაისგთან ერთად“.

ნანული ზოგიკიშვილი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის პონორარი არ გაიცემა.

ავგორებს ვთხოვთ, კომპიუგერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეგი მოცულობის სგაგიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქობულია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „პოლიგრაფის“ სტამბაში, რუსთაველის გამზირი 20.